 11. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის შედეგები მშენებლობის ეტაპზე წელიწადში ორჯერ, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე წელიწადში ერთხელ წარმოადგინოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში. მონიტორინგის შედეგად, საჭიროებისამებრ, შეიმუშაოს დამატებითი შემარბილებელი/საკომპესაციო ღონისძიებები;
 12. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე განსაზღვროს ქრას დაქვემდებარებულ მკენარეთა რაოდენობა სახეობების მიხედვით. საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილ სახეობებთან მიმართებით ქმედებები განახორციელოს საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად;
 13. მშენებლობის ეტაპზე უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება;
 14. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში დასკვნის გადაცემა – განახორციელოს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით;
 15. სამშენებლო სამუშაოების დაწყება და ეგზ-ს ექსპლუატაციაში გაშვება აცნობოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს.

IV. დასკვნა

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ წარმოდგენილი, შპს „ენერჯოტრანსი“-ს 500 კვ ძაბვის ქსანი-სტეფანწმინდა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით, საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი პირობების დაცვით.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
დეპარტამენტის უფროსი

თამარ შარაშიძე
(სახელი, გვარი)

A. Lashvili

(ხელმოწერა)





ენერგოტრანსი

საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2, / 2 Baratashvili str. Tbilisi 0105, Georgia ტელ./ფაქსი/tel./fax: +995(32)2510140

28/09/2016

N 563

563-01-2-201609281424



საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტრო
სსიპ ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტოს
უფროსს ბატონ გრიგოლ კაკაურიძეს

ბატონო გრიგოლ,

გაცნობებთ, რომ „ქსანი-სტეფანწმინდის 500 კვ ეგზ მშენებლობის“ პროექტის ფარგლებში რამოდენიმეჯერ გაიმართა შეხვედრა დუშეთის მუნიციპალიტეტსა და სოფლებში, სადაც განხილულ იქნა მოსახლეობის მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა განსახლების სამოქმედო გეგმაში.

წარმოგიდგენთ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის წერილს და გთხოვთ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაცეთ პირველი ეტაპის ნებართვა მეორე მონაკვეთზე (ანბა 94-ანბა 247).

დანართი: 1 ფურცელი

პატივისცემით,
კახა სეხნიაშვილი

დირექტორი

www.energotrans.com.ge

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ენერგოტრანსი“
“ENERGOTRANS” LIMITED LIABILITY COMPANY



დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა GAMGEOBA OF DUSHETI MUNICIPALITY



KA990131398193416

№ 09/1475

27 / სექტემბერი / 2016 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის
სააგენტოს უფროსს ბატონ გრიგოლ კაკაურიძეს

ასლი - შპს „ენერგოტრანსს“

ბატონო გრიგოლ,

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსული შპს „ენერგოტრანსის“ 09.09.2016 წ. №513 წერილით გვეცნობა, რომ ქსანი-სტეფანწმინდის 500 კვ ეგხ-ს პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით მოხდა შპს „ენერგოტრანსი“-ს წარმომადგენლების შეხვედრა დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭართალის, დაბა ფასანაურის მოსახლეობასა და კერძო მეწარმეებთან, სადაც საკითხი პროექტის ლოკალური კორექტირების თაობაზე განხილულ იქნა.

აღნიშნულიდან გამომდინარე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა თანახმაა მოხდეს პროექტის განხორციელება შესაძლებლობის ფარგლებში მოსახლების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

პატივისცემით,

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი

3.

ვაჟა ჩოხელი

შპს "ენერგოტრანსი"
შემოს 417
28 09 2016წ.



2811-03-2-201607151553



N 03/2811

15/07/2016

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტროს სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის
სააგენტოს“

თქვენი 2016 წლის 05 ივლისის №04/1319 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ქსანი-სტეფანწმინდის შემაერთებელი 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის მეორე მონაკვეთის (N94-247 საყრდენებს შორის) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების საკითხს, გაცნობებთ, რომ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი გაიცეს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობა წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ილია ელოშვილი

მინისტრის მოადგილე

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-03/6351
26/07/2016

6351-2-03-2-201607261019



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის
მოადგილეს ბატონ ასტამურ აჩბას

ბატონო ასტამურ,

მიმდინარე წლის 05 ივლისის №04/1317 წერილის შესახებ, შ.პ.ს. „ენერგოტრანსი“-ს დაკვეთით დაგეგმილი 500კვ ძაბვის ელ.გადამცემი ხაზის – „ქსანი-სტეფანწმინდა“-ს მეორე მონაკვეთის მშენებლობის სამუშაოების შესრულებისას დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში ახალი საყრდენი ანძების განსათავსებლად მიწის ნაკვეთების გასხვისებას გაცნობებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევის მასალები და არ არის წინააღმდეგი ელ.გადამცემი ხაზის კორიდორით მის ბალანსზე რიცხული: საერთაშორისო მნიშვნელობის „მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსი (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის ღერძის კმ58+665მ-დან (კოორდ: X-474875/Y-4688060) კმ58+746მ-მდე (კოორდ: X-474844/Y-4688129) მონაკვეთზე, ღერძის განივად გადაკვეთა შესრულდეს საჭირო გზით.

~~შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის „სნო-ახალციხე-ჯუთა“ საავტომობილო გზის კმ1+85მ5-დან კმ10+799მ-მდე ცალკეულ მონაკვეთებზე გასატარებლად იგეგმება ღერძიდან ორივე მხარეს (მონაცვლებით) და მდინარეთა ხეობებში მოეწყოს ე.გ.ხაზის საყრდენი ანძები (ოცდაორი ერთეული).~~

ელ.გადამცემი ხაზის მშენებლობის ტექნიკური პირობების შესათანხმებლად საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში, დაინტერესებული მხარის მიერ, წარმოდგენილი უნდა

იქნეს საქართველოში მოქმედი „ედმწ“-ით გათვალისწინებულ ნორმატიული მოთხოვნების შესაბამისად დამუშავებული დეტალური პროექტი.

პატივისცემით,

ნუგზარ გასვიანი



დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე



საქართველო

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობა

№ 1834

13 ივლისი 2016წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის
იურიდიული პირი ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის
მოადგილეს ბატონ ასტამურ აჩბას

ბატონო ასტამურ,

თქვენი 2016 წლის 5 ივლისის №04/1316 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქსანი-სტეფანწმინდის შემაერთებელი 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის მეორე მონაკვეთის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების საკითხს, გაცნობებთ, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით როგორც „სნოს ხეობის“, სადაც კონკრეტულად გაივლის ელექტროგადამცემი ხაზი, ასევე ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მთელი მოსახლეობის მხრიდან არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი.

ადგილობრივი მოსახლეობისთვის უცნობია ელექტროგადამცემი ხაზის დაზუსტებული მიმართულება, ხოლო ხაზის სავარაუდო ბუფერული ზონა მოიცავს მოსახლეობის კერძო საკუთრებაში არსებულ ისეთ მიწის ნაკვეთებს, რომლებიც ამ ეტაპზე საჯარო რეესტრში დაზუსტებული არა აქვთ.

ადგილობრივი მოსახლეობა ითხოვს დამკვეთის წარმომადგენლებთან შეხვედრას და განმარტებებს ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, რომელიც უშუალოდ მათ ინტერესებს შეეხება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობა არ არის წინააღმდეგი დამტკიცდეს 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისთვის

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო	
მიმღავლია №	2362
დადგენილია	07 2016 წ.


მიწის ნაკვეთის საშემნებლოდ გამოყენების პირობები, თუ ზემოთაღნიშნული საკითხები
მოგვარებული და შეთანხმებული იქნება მოსახლეობასთან.


პატივისცემით


გივი ქირიკაშვილი

პ. ქირიკაშვილი

მუნიციპალიტეტის გამგებელი











საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

№ 10/17/304

“ 16 ” 02 2015წ.

შპს „ენერგოტრანსის“ დირექტორს,
ბატონ კახა სეხნიაშვილს
საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის ქ. N2
ტელ: (+995 32) 2510140

ბატონო კახა,

თქვენი წერილის N49 05.02.16 პასუხად, რომელიც ეხება ქსანი-სტეფანწმინდის საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის გაუცხოების დერეფანში ჩატარებულ არქეოლოგიურ კვლევასა და ელექტროგადამცემი ხაზების განლაგების დეტალურ საინჟინრო პროექტს, გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი საყრდენების განლაგების ადგილები მაქსიმალურად დაშორებულია არქეოლოგიური ობიექტებისგან, ხოლო თქვენ მიერ ჩასატარებელი სამუშაოები საფრთხეს არ უქმნის მათ განადგურებას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სააგენტო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს სამუშაოები წარმოდგენილი სიტუაციური გეგმის მიხედვით (იხ. დანართი).

აღსანიშნავია, რომ სამუშაოთა მიმდინარეობის დროს არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, უნდა შეწყდეს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს (ამ ეტაპზე – სააგენტოს).

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის
მოადგილე

დავით ლომიძე

დანართი: 9 გვერდი. არქეოლოგიური ობიექტებისა და საპროექტო ელ. გადამცემი ხაზის სიტუაციური გეგმები.

ქსანი სტუპანჭმინდას დამაკავშირებელი
500 კვ ელ გადამცემი ხაზი,
№13 №14 არქეოლოგიური ობიექტისა და
საპროექტო ელ გადამცემი ხაზის სიტუაციური გეგმა

ანძა №176

ანძა №175

№ 11 არქეოლოგიური ობიექტი
სახელმწიფო მემკვიდრეობის
გამაგრების ობიექტი №175 ანძაში 1248
მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი
სახელმწიფო მემკვიდრეობის
დაცვის ზონაში 538

№ 10 არქეოლოგიური ობიექტი
სახელმწიფო მემკვიდრეობის
გამაგრების ობიექტი №175 ანძაში 968
მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი
სახელმწიფო მემკვიდრეობის
დაცვის ზონაში 398

№ 9 არქეოლოგიური ობიექტი
სახელმწიფო მემკვიდრეობის
გამაგრების ობიექტი №175 ანძაში 1078
მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი
სახელმწიფო მემკვიდრეობის
დაცვის ზონაში 448

ელ გადამცემი ხაზი
დაცვის ზონა 768

ანძა №175

ქსანის სტუმანჭმინდის დამაკავშირებელი
500 კვ ელ გადამცემი ხაზი,
№1, №2, არქეოლოგიური ობიექტებისა და
საპროექტო ელ გადამცემი ხაზის სიტუაციური გეგმა

№1 არქეოლოგიური ობიექტი
დაცორება ეზს დაცვის ზონიდან 70მ
დაცორება №32 ანძიდან 117მ


№2 არქეოლოგიური ობიექტი
დაცორება ეზს დაცვის ზონიდან 30მ
დაცორება №32 ანძიდან 87მ

ანძა №32


32

ელ გადამცემი ხაზი
დაცვის ზონა 76მ


31



ქსანო სტუმანჯშინლას დამაკავშირებელი
500 კვ ელ გადამცემი ხაზი,
№12 არქიტექტურული ობიექტისა და
საპროექტო ელ გადამცემი ხაზის სიტუაციური გეგმა



ქსანო სტუმანჭმინდას დამაკავშირებელი
500 კვ ელ გადამცემი ხაზი,
№13 №14 არქეოლოგიური ობიექტისა და
საპროექტო ელ გადამცემი ხაზის სიტუაციური გეგმა



№ 14 არქეოლოგიური ობიექტი
უსწლოებსი მანძილი №231 ანძამდე 132მ
უსწლოებსი მანძილი დაცვის ზონამდე 95მ


№ 13 არქეოლოგიური ობიექტი
უსწლოებსი მანძილი №230 ანძამდე 172მ
უსწლოებსი მანძილი დაცვის ზონამდე 99მ

ანძა №231


ანძა №230

ელ გადამცემი ხაზი
დაცვის ზონა 76მ

ქსანი სტეფანწმინდას დამაკავშირებელი
 500 კვ ელ გადამცემი ხაზი,
 №4 არქიტექტურული ობიექტისა და
 სარეკონსტრუქციო ელ გადამცემი ხაზის სიტუაციური გეგმა



ქსანი სტუფანჯმინდას დამაკავშირებელი
500 კვ ელ გადამცემი ხაზი,
№7 არქეოლოგიური ობიექტისა და
საარქიტო ელ გადამცემი ხაზის სიტუაციური გეგმა



ანძე №115

№ 7 არქეოლოგიური ობიექტი
უახლოესი მანძილი №114 ანძამდე 478მ
დაშორება დაცვის ზონიდან 393მ

ელ გადამცემი ხაზი
დაცვის ზონა 76მ

ანძე №114

115

114

113



საქართველოს ეროვნული მუზეუმი

0105 თბილისი, რუსთაველის გამზირი 3, ტელ.: 998022; ფაქსი: 982129; E-mail: info@museum.ge

არქეოლოგიური კვლევის ანგარიში

არქეოლოგიის ცენტრის უფროსი

ზურაბ მახარაძე

№:

თარიღი:

ანგარიში

მიმწოდებელი: სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი

შემსყიდველი: სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

ობიექტი: 500 კვ „ქსანი-სტეფანწმინდა“ ელექტროგადამცემი ხაზის
სამშენებლო დერეფანი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“-თან 08.04.2014წ. გაფორმებული №60-7-114-235 (04/ა) ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის ექსპედიციამ¹ დაზვერვითი სამუშაოები აწარმოა ქსანი-სტეფანწმინდის მარშრუტზე, სადაც სს „საქართველოს ელექტროსისტემას“ დაგეგმილი აქვს 500 კვ სიმძლავრის ელექტროგადამცემი ხაზის – „ქსანი-სტეფანწმინდა“ მშენებლობა. აღნიშნულ კომპანიასა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის ზონაში, დაზვერვების საშუალებით უნდა დაფიქსირებულიყო არქეოლოგიური ობიექტები, რათა მშენებლობის პროცესში არ მომხდარიყო მათი დაზიანება.

შესასწავლი ტერიტორიის სიგრძეა 95 კმ, სიგანე – 100 მ. ტერიტორია იწყება ქსნიდან, მიემართება ვეძათხევისკენ, აქედან კი ჭართალისკენ. ფასანაურთან შესასწავლი ტრასა გადაკვეთს თბილისი-ყაზბეგის ავტომაგისტრალს და გადადის გუდამაყრის ხეობაში – წინამხარსა და კიტოხში, საიდანაც ბურსაჭირის უღელტეხილის გავლით ტრასა ჩადის სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე – სოფ. კარკუჩაში, შემდეგ სოფ. სნოში, ბოლოს კი სოფ. აჩხოტში (ტაბ. I).

აღნიშნულ ტრასაზე მუშაობა დაიწყო ქსნის ელექტროსადგურიდან (ტაბ. II, სურ. 1). აქედან შესასწავლი ტრასა მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთით თხოთის

¹ ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: დ. მინდორაშვილი (ხელმძღვანელი), გ. გოგოჭური, გ. კოპალიანი (11.IV-25.IV), ვ. მამიაშვილი (26.IV-7.V).

მთისკენ (ტაბ. II, სურ. 2). ტრასის ამ მონაკვეთზე არქეოლოგიური ობიექტები არ შეინიშნება.

თხოთის მთაზე ასვლის შემდეგ ტრასა მთის თხემს გაუყვება აღმოსავლეთი მიმართულებით (ტაბ. II, სურ. 3). აქედან ტრასა მკვეთრად უხევს ჩრდილოეთით და ეშვება მცხეთა-გორის საავტომობილო მაგისტრალისაკენ, რომლის გადაკვეთის შემდეგ, იწყება სახნავ-სათეს ფართობები. ამ მონაკვეთში ტრასა მიემართება ჩრდილო-დასავლეთით – სოფ. მჭადიჯვრისკენ (ტაბ. II, სურ. 4).

შესასწავლი ტრასის მე-10 კმ-ზე, ტრასის დაახლოებით ცენტრალურ ღერძზე (კოორდინატები: E 4643804, N 0468501) მოხსულ ფართობზე აღმოჩნდა მცირე ზომის ქვების გაფანტული გროვა (ტაბ. II, სურ. 5). იქვე აიკრიფა წითლად გამომწვარი კერამიკის ორი ფრაგმენტი, რომელთაგან ერთი ანგობირებული ღარიანი კრამიტის, მეორე კი ამოღარული კონცენტრული ხაზებით შემკული დოქის გვერდის ნატეხია (ტაბ. II, სურ. 6). სავარაუდოდ აქ საქმე უნდა გვექონდეს დანგრეული ნამოსახლარის უსახო ნაშთებთან. ეს ადგილი დაფიქსირდა, როგორც არქეოლოგიური ობიექტი №1.

აღნიშნული არქეოლოგიური ობიექტიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 45 მ-ის დაშორებით (კოორდინატები: E 4643771, N 0468534), ტრასის იმავე მე-10 კმ-ზე, ქვის ასეთივე გაშლილ-გაფანტული გროვაა (ტაბ. II, სურ. 7). იქვე აღმოჩნდა წითლად გამომწვარი თხელკეციანი ხელადის გვერდის ნატეხი (ტაბ. II, სურ. 8). ეს ადგილი დაფიქსირდა, როგორც არქეოლოგიური ობიექტი №2. სავარაუდოდ აქაც საქმე უნდა გვექონდეს ნამოსახლარის განადგურებულ ნაშთებთან.

აღწერილი ადგილების შემდეგ, ტრასა გაივლის სოფ. ძაღისას მიდამოებს, რომელიც როგორც კარგადაა ცნობილი, მდიდარია არქეოლოგიური ძეგლებით. სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს დიდ მინდორზე, ტრასის მე-12 კმ-ზე, ტრასის დაახლოებით ცენტრალური ღერძის გასწვრივ (ტაბ. III, სურ. 1) აიკრიფა თიხის ჭურჭლისა და კრამიტის ნატეხები. თიხის ჭურჭლიდან ერთი რელიეფური სარტყელით შემკული დერგის ნატეხია (ტაბ. III, სურ. 2ა). იქვე გვხვდება წითლად შეღებილი ღარიანი კრამიტებისა (ტაბ. III, სურ. 2ბ) და ბრტყელი, გვერდებაკეცილი, ასევე წითლად შეღებილი კრამიტების ნატეხები (ტაბ. III, სურ. 2გ). აღწერილი ზედაპირული მასალა გვიანანტიკური-ადრეული შუასაუკუნეების იერისაა. არქეოლოგიურად საინტერესო ტერიტორია მოგრძო სწორკუთხედი და მოქცეულია შემდეგ კოორდინატებს შორის: E4645358, N 0469091 / E 4645390, N0469132

/ E 4645545, N 0469043 / E 4645504, N 0469002. აღნიშნული ფართობი დაფიქსირდა როგორც არქეოლოგიური ობიექტი №3. ამ ტერიტორიაზე უნდა არსებულიყო გვიანანტიკური-ადრეული შუასაუკუნეების ვრცელი ნამოსახლარი, რომელიც ძალისას ცნობილი ნაქალაქარის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს და ჩანს, მის ერთ-ერთ უბანს წარმოადგენდა.

სოფ. ძალისადან ტრასა მიემართება ჩრდილო-დასავლეთით. შეუყვება მთის ფერდობს, რომელიც ბუჩქნარითაა დაფარული და ჩადის სოფ. ციხედავის აღმოსავლეთით, მთის ფართოდ გაშლილ დაბალ ფერდზე, რომელიც საძოვრებადაა გამოყენებული (ტაბ. III, სურ. 3). სოფ. ძალისადან ვიდრე სოფ. ციხედავის კუთვნილ ტერიტორიებამდე ვიზუალურად არქეოლოგიური ობიექტები არ შეინიშნება.

მჭადიჯვარ-დუშეთის საავტომობილო გზიდან აღმოსავლეთით, 35-40 მ-ის დაშორებით, შესასწავლი ტრასის მე-20 კმ-ზე, ზედ ცენტრალურ ღერძზე აღმოჩნდა არქეოლოგიური ობიექტი №4 (კოორდინატები: E 0469036, N 4652596). ის მთის ფერდის შემადგენელ ბორცვზე (ბორცვის დმ 30 მ) მდებარე ეკლესიის ნანგრევებია. დარბაზული ეკლესია საძირკვლის დონეზეა შემორჩენილი და ეს დონეც მთლიანად მიწითაა დაფარული. ერთ ადგილას ჩანს გადაქცეული კედლის ნაშთი. ეკლესია ნაგები ყოფილა რიყის ქვით კირხსნარზე. კედლის სისქე 70 სმ-ია (ტაბ. III, სურ. 4). სავარაუდოდ ეკლესიის სიგრძე 10, სიგანე კი 6-7 მ-მდე უნდა ყოფილიყო. სხვა დეტალების დაზუსტება ვერ ხერხდება.

კედლის ფრაგმენტის გვერდით დევს კარგად გათლილი სწორკუთხა მოყვანილობის ქვა (100X65X6 სმ) (ტაბ. III, სურ. 5), რომელიც უეჭველია საფლავის ქვაა (ამჟამად ქვისგან დაბალი მაგიდაა გაკეთებული). ეკლესიის ბორცვზე აიკრიფა შუასაუკუნეების ბრტყელი კრამიტებისა და თიხის ჭურჭლის რამდენიმე ნატეხი (ტაბ. III, სურ. 6). არქეოლოგიური ობიექტის სახით საქმე გვაქვს დანგრეული ეკლესიის ნაშთებთან, რომლის გარშემო გამართული ყოფილა სამარხები.

ეკლესიის ნანგრევიდან ჩრდილოეთით 60 მ-ის დაშორებით, მიწის ზედაპირზე შემორჩენილია საფლავის სამი ქვა. ქვები დაძრულია (დაცურებულია) თავდაპირველი ადგილიდან და ნაცვლად აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობისა, დამხრობილია ჩრდილო-სამხრეთ ხაზზე (ქვების ზომები: 140X65X15-20 სმ; 130X70X20 სმ; 75X70X15 სმ) (ქვების მდებარეობის კოორდინატები: E 0469011, N 4652659) (ტაბ. III, სურ. 7, 8).

მჭადიჯერიდან ტრასა მიემართება სოფ. ბაზალეთისაკენ. ეს ტერიტორია ტყიანი ზოლია (ტაბ. IV, სურ. 1, 2, 3). ტრასის ამ მონაკვეთზე არქეოლოგიური ობიექტები ვიზუალურად არ შეინიშნება.

სოფ. ბაზალეთიდან ვიდრე სოფ. არღუნის მიმდებარე ტერიტორიებამდე ტრასა კვეთს მთაგორიან და ტყიან მასივს. ამ ტერიტორიების დაზვერვების შედეგად გაირკვა, რომ ტრასის აღნიშნულ მონაკვეთზე მატერიალური კულტურის ძეგლები არ გვხვდება.

სოფ. არღუნიდან ტრასა მიემართება ქაისხევში (ტაბ. IV, სურ. 4). საკვლევი ტერიტორიის 33-ე კმ-ზე სოფ. ბანცურთკარში, სოფლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ტრასის თითქმის ცენტრალურ ღერძზე (კოორდინატები: E 0471990, N 4665624) არის XIX-XX ს-ის დასაწყისის სასაფლაო – ობიექტი №5 (ტაბ. IV, სურ. 5).

სოფ. ბანცურთკარის თავზე, ჩრდილოეთით, 500-მდე მეტრის დაშორებით, არის სოფლის თანამედროვე სასაფლაო, რომელიც მდებარეობს შესასწავლი ტრასის ზონაში, 34-ე კმ-ზე (კოორდინატები: E 0461708, N 4666197) (ტაბ. IV, სურ. 6).

ამავე სასაფლაოს ტერიტორიაზე, რამდენადმე ზემოთ არის ძველი ეკლესიის ნანგრევებზე ახლად აგებული დარბაზული ტიპის ეკლესია (კოორდინატები: E 0471698, N 4666275) (ტაბ. IV, სურ. 7). სასაფლაო და ეკლესია დავაფიქსირეთ, როგორც ობიექტი №6.

სოფ. ბანცურთკარიდან ტრასა მიუყვება ტყით დაფარულ მთაგორიან ლანდშაფტს (ტაბ. IV, სურ. 8). ამ მიმართულებით, ვიდრე სოფ. დგნალამდე არქეოლოგიური ობიექტები არ შეინიშნება.

სოფ. დგნალის სამხრეთ-დასავლეთით, ტრასის 42-ე კმ-ზე, ტრასის ცენტრალურ ღერძზე (კოორდინატები: E 0471098, N 4674017) მდებარეობს ნაგებობათა ნაშთები. იკითხება ზოგიერთი ნაგებობის გეგმა. ზოგან ჩანს კედლის ნაშთები. ნაგებობები ~~დამხრობილი ყოფილა აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე~~ (ტაბ. V, სურ. 1-2).

აღწერილი ნაგებობებიდან დაახლოებით 45-50 მ-ში, შესასწავლი ტრასის დერეფნის დასავლეთ კიდედან, ბორცვის თხემზე, რომელიც ხელოვნურად ჩანს მოჭრილი, ფიქსირდება ქვაყრილები – ნამოსახლართა ნაშთები (კოორდინატები: E 0471051, N 4674005) (ტაბ. V, სურ. 3-4). ერთმანეთის ახლოს მდებარე ეს ორივე კომპლექსი უნდა წარმოადგენდეს ერთი ნასოფლარის შემადგენელ ნაწილებს. აღნიშნული ნასოფლარი დაფიქსირდა როგორც არქეოლოგიური ობიექტი №7.

ელექტროსადენების ტრასა დგნალიდნ მიემართება მენესო-სონდისხევის მიმართულებით (ტაბ. V, სურ. 5). ამ მარშრუტზე ვიდრე ჭართლის ხევამდე არქეოლოგიური ობიექტები არ ჩანს.

ჭართლის ხევის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ჩიტაურების სამხრეთ-აღმოსავლეთით, ტრასის 47-ე კმ-ის ღერძულა ხაზზე (კოორდინატები: E 0471500, N 4679114), დაფიქსირდა XVIII-XIX ს-ის სასაფლაო, რომელიც სოფ. სონდის მოსახლეობის სასაფლაო ყოფილა – ობიექტი №8 (ტაბ. V, სურ. 6-7).

ჭართლის ხევიდან ელექტროგადამცემის ტრასა, თბილისი-ფასანაურის ავტომაგისტრალის სიახლოვეს გადაკვეთს ხანდოს ხევს (ტაბ. V, სურ. 8). ტრასის ამ მონაკვეთში არქეოლოგიური ობიექტები არ შეინიშნება.

ხანდოს ხევიდან ვიდრე ფასანაურამდე ტრასა მიუყვება ტყით დაფარულ მთიან მასივებს. არც ამ ტერიტორიების შესწავლამ გამოავლინა არქეოლოგიური ობიექტები.

დაბა ფასანაურთან ტრასა კვეთს თბილისი-ფასანაურის ავტომაგისტრალს (ტაბ. VI, სურ. 1) და შედის გუდამაყრის ხეობაში. ფასანაურიდან მოყოლებული ტრასა ძირითადად ხეობის ქვედა ნაწილს – რიყესა და მთის ფერდობებს მიუყვება (ტაბ. VI, სურ. 2-6). შავი არაგვის ხეობის ქვემო წელზე არის რამდენიმე არქეოლოგიური ობიექტი (მაგ. „დევისპინები“ – სამაროვანი შავი არაგვის მარჯვენა ნაპირზე), მაგრამ ისინი შესასწავლი ტრასის გარეთ მდებარეობენ და ამჟამად მათზე ყურადღებას არ გავამახვილებთ.

გუდამაყარში, ვეძის ხევის მარჯვენა მხარეს, ტერასაზე არის ცუცუქუნაურების ნასოფლარი (ცუცუქუნარი საკუთარი სახელია ბექაურთა გვარიდან. აქედან მოდის სოფლის სახელწოდებაც) (კოორდინატები: E 0478151; N 4698167). ნამოსახლარი, რომელიც დაფიქსირდა როგორც ობიექტი №9, მოქცეულია საკვლევი ტრასის ზონაში, ტრასის 71-ე კმ-ზე. ნამოსახლარის აღმოსავლეთით არის ნასახლარის ნაშთები. არ ჩანს ნაგებობის კედლები, მაგრამ იკითხება ქვაბულის კონტურები (ტაბ. VI, სურ. 7).

სოფ. ცუცუქუნაურების აღმოსავლეთით, ფერდობზე არის XVIII-XX სს-ის სასაფლაო – ობიექტი №10 (კოორდინატები: E 0478118, N 4698244). სასაფლაოზე გვხვდება XVIII-XIX საუკუნეებისათვის დამახასიათებელი გათლილი ორნამენტული ქვები (ტაბ. VI, სურ. 8; ტაბ. VII, სურ. 1-2).

სოფ. ცუცქუნაურების აღმოსავლეთით, სოფლის თავზე არსებულ ფერდობზე არის პატარა ნაგებობის ნაშთი – წვერის ანგელოზი, რომელსაც ეტყობა გვიანდელი მშენებლობის კვალი – ობიექტი №11 (კოორდინატები: E 0478089, N 4698262). ნაგებობა გეგმით ოთხკუთხაა (ტაბ. VII, სურ. 3). მის გვერდით (ჩრდილოეთით) ორ ბოძზე ჩამოკიდებულია ზარი, რომელსაც ამკობს ამოკაწრული ასომთავრული წარწერა. ზარს ზედა და ქვედა ნაწილზე შემოუყვება ორ-ორი რელიეფური სარტყელი. საკიდს აქვს ექვსი ღერო, რომელიც რგოლით მთავრდება. ზარის დაზიანების გამო (გატეხილია სიმაღლეზე) მასზე დაუკრავთ სპილენძის ფირფიტა. წარწერის ნაწილი სპილენძის ფირფიტითაა დაფარული. ზარის ენა დაკარგულია (ტაბ. VII, სურ. 4).

სოფ. დუმაცხოდან საკვლევი ტრასა უხვევს მარჯვნივ და მიემართება ბურსაჭირისწყლის ხეობაში უღელტეხილისაკენ. საკვლევი ტრასა აქ ხეობას მიუყვება (ტაბ. VII, სურ. 5-8) სოფ. დუმაცხოდან ვიდრე ნასოფლარ ბურსაჭირამდე არქეოლოგიური ობიექტები არ შეინიშნება.

ნასოფლარ ბურსაჭირიდან ელექტროგადამცემის ტრასა გადადის ბურსაჭირის უღელტეხილზე (ტაბ. VIII, სურ. 1-2) და ქვენამთისწყლის ხეობის ჩაყოლებით (ტაბ. VIII, სურ. 3) მიემართება სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. კარკუნამდე. საკვლევი ტრასა, ვიდრე ქვენამთისწყალი მკვეთრად მოუხვევს დასავლეთისაკენ და ვაკიან რიყეზე გავა, მიუყვება მდინარის მარცხენა ნაპირის მაღალი მთების ფერდობებს (ტაბ. VIII, სურ. 4-6; ტაბ. IX, სურ. 1).

ბურსაჭირის უღელტეხილის ბოლო მონაკვეთზე, ვიდრე ქვენამთისწყალი დასავლეთისაკენ მოუხვევს, ტრასის 85-ე კმ-ზე, ქვენამთისწყლის მარცხენა ნაპირის შემადლებულ კლდეზე, საკვლევი ტრასის მარჯვენა კიდეზე (კოორდინატები: E 0476513, N 4710469), შემორჩენილია ჩრდილო-სამხრეთ მიმართულებით დამხრობილი კლდის ფლეთილი ქვებით მშრალად ნაგები კედლის წყობა (შემორჩენილი ხილული სიგრძე 1,7 მ, სისქე 60 სმ, სიმაღლე 80 სმ) (ტაბ. IX, სურ. 2). კედლის გაგრძელება მნიშვნელოვნადაა დაზიანებული. ამ გაგრძელებას ოვალური გეგმა აქვს და კორდოვანი ფენითაა დაფარული. კედლის ნაშთი უნდა წარმოადგენდეს ძველი XIX ს-ის საუღელტეხილო გზის გასამაგრებელ კედელს – ობიექტი №12. ტრასის ამ მონაკვეთზე რაიმე სხვა საინტერესო ობიექტი არ შეგვხვედრია.

როგორც აღვნიშნეთ, უღელტეხილის დასრულების შემდეგ ქვენამთისწყალი მარცხნივ უხვევს და რიყეზე მიედინება, საკვლევი ტრასა კი მიჰყვება მდინარის მარცხენა ნაპირის ქედს. შემდგომ ტრასა გადაკვეთს მდინარეს და გაუყვება ქვენამთისწყლის მარჯვენა ნაპირის ქედს (ტაბ. IX, სურ. 3). ქვენამთისწყლის სნოსწყალთან შეერთების მიდამოებში (ტაბ. IX, სურ. 4) საკვლევი ტრასა გადმოდის სნოსწყალის ხეობის მარცხენა ნაპირზე და მთის ფერდობებს გაუყვება (ტაბ. IX, სურ. 5-6). ბურსაჭირის უღელტეხილის დასასრულიდან ვიდრე ქვენამთისწყლისა და სნოსწყლის შესართავამდე, საკვლევი ზონაში არქეოლოგიური ობიექტები არ გვხვდება. ასევე არ გვხვდება არქეოლოგიური ობიექტები ქვენამთისწყლისა და სნოსწყლის ხერთვისიდან ვიდრე სოფ. კარკუნამდე. ხოლო თუ გვხვდება (მაგ. დაღანგურის წმინდა გიორგის კომპლექსი), ისინი საკვლევი ტრასის გარეთაა მოქცეული.

საკვლევი ტრასის 89,8-ე კმ-ზე, ტრასის მარჯვენა კიდესთანაა მოქცეული სოფ. კარკუნის თანამედროვე სასაფლაოს ნაწილი – ობიექტი №13 (კოორდინატები: E 0473934, N 4713809) (ტაბ. X, სურ. 1).

კარკუნის სასაფლაოს ტერიტორიიდან ტრასა 90,2-ე კმ-ზე კვეთს სოფ. კარკუნას სამხრეთ ნაწილს – ობიექტი №14 (კოორდინატები: E 0473537, N 4714004) (ტაბ. X, სურ. 2).

შემდგომ ტრასა ვიდრე სოფ. ახალციხემდე რიყეს გაუყვება (ტაბ. X, სურ. 3-5). კარკუნადან ვიდრე ახალციხემდე საკვლევი ტრასის ზონაში არქეოლოგიური ობიექტები არ გვხვდება.

ახალციხიდან ვიდრე სნომდე ტრასა მიუყვება რიყეს. ხოლო სნოსთან მიახლოებისას გადადის სოფლის სამხრეთით და მთის ფერდს გაუყვება (ტაბ. X, სურ. 6, ტაბ. XI, სურ. 1-2). სნოს ტერიტორიაზე ტრასა გაივლის სოფლის სამხრეთით, მთის ფერდის გაყოლებით (ტაბ. XI, სურ. 3). ამის შემდეგ ტრასა კვლავ მთის ფერდს, მდ. სნოსწყლის მარცხენა ნაპირს მიუყვება (ტაბ. XI, სურ. 4-5). შემდგომ, სოფ. აჩხოტის სიახლოვეს ტრასა კვეთს ხეობის რიყეს (ტაბ. XI, სურ. 6; ტაბ. XII, სურ. 1-2) და გადადის მდ. სნოსწყლის მარჯვენა ნაპირის ნაძენარიან ფერდზე (ტაბ. XII, სურ. 3-4). ამ ადგილას მთავრდება ტრასის ის მონაკვეთი (ტაბ. XII, სურ. 5), რომლის შესწავლა გათვალისწინებლი იყო საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ შორის დადებული ხელშეკრულებით (საკვლევი ტრასის ბოლო წერტილის კოორდინატები:

E 0469362, N 4719645). ტრასის ბოლო მონაკვეთზე სოფ. ახალციხიდან ვიდრე სნო-აჩხოტის მიდამოების ჩათვლით ტრასის ზონაში არქეოლოგიური ობიექტები არ შეინიშნება.

* * *

ამრიგად, ჩვენს მიერ საკვლევი ტრასის შესწავლის შემდეგ, ქსნიდან, ვიდრე სოფ. აჩხოტამდე დაფიქსირდა 14 ობიექტი. აქედან ხუთი არქეოლოგიური ობიექტია:

1. №1 არქეოლოგიური ობიექტი მდებარეობს მარშრუტის მე-10 კმ-ზე, ტრასის დაახლოებით ცენტრალურ ღერძზე (კოორდინატები: E 4643804, N 0468501), სადაც აღმოჩნდა ქვების გაფანტული გროვა და კერამიკის ფრაგმენტები (ტაბ. II, სურ. 5-6). სავარაუდოდ აქ საქმე უნდა გვექონდეს დანგრეული ნამოსახლარის ნაშთებთან (ტაბ. XIII).

2. №2 არქეოლოგიური ობიექტი მდებარეობს №1 არქეოლოგიური ობიექტიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 45 მ-ის დაშორებით (კოორდინატები: E 4643771, N 0468534), ტრასის იმავე მე-10 კმ-ზე, ქვის ასეთივე გაშლილ-გაფანტული გროვაში აღმოჩნდა კერამიკის ნატეხი (ტაბ. II, სურ. 7-8; ტაბ. XIII). სავარაუდოდ აქაც საქმე უნდა გვექონდეს ნამოსახლარის განადგურებულ ნაშთებთან.

3. არქეოლოგიური ობიექტი №3 დაფიქსირდა ძალისას მიდამოებში, სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს დიდ მინდორზე, მარშრუტის მე-12 კმ-ზე, ტრასის დაახლოებით ცენტრალური ღერძის გასწვრივ. იქ აიკრიფა თიხის ჭურჭლისა და კრამიტის ნატეხები (ტაბ. III, სურ. 1, სურ. 2 ა, ბ, გ). ანაკრეფი მასალა განეკუთვნება გვიანანტიკურ ხანასა და ადრეულ შუასაუკუნეებს. არქეოლოგიურად საინტერესო ტერიტორია მოგრძო სწორკუთხედიან და მოქცეულია შემდეგ კოორდინატებს შორის: E4645358, N 0469091 / E 4645390, N0469132 / E 4645545, N 0469043 / E 4645504, N 0469002 (ტაბ. XIII). ამ ტერიტორიაზე უნდა არსებულიყო გვიანანტიკური-ადრეული შუასაუკუნეების ვრცელი ნამოსახლარი, რომელიც ძალისას ცნობილი ნაქალაქარის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს და ჩანს, მის ერთ-ერთ უბანს წარმოადგენდა.

4. მჭადიჯვარ-დუშეთის საავტომობილო გზიდან აღმოსავლეთით, 35-40 მ-ის დაშორებით, შემადლებულ ბურცვზე შესასწავლი ტრასის მე-20 კმ-ზე, ზედ ცენტრალურ ღერძზე (კოორდინატები: E 0469036, N 4652596) აღმოჩნდა საძირკვლის დონეზე შემორჩენილი დარბაზული ეკლესიის (სავარაუდო ფართობი 10X6-7 მ) ნანგრევები (ტაბ. III, სურ. 4).

ეკლესიის გარშემო შუასაუკუნეების სამაროვანია. ერთ-ერთი ქვის სამარხის სახურავი (100X65X6 სმ) დევს ეკლესიის კედლის ნანგრევთან. ის მეორადი დანიშნულებით – მაგიდადაა გამოყენებული (ტაბ. III, სურ. 5). ეკლესიასთან აიკრიფა შუასაუკუნეების ბრტყელი კრამიტებისა და თიხის ჭურჭლის რამდენიმე ნატეხი (ტაბ. III, სურ. 6).

ეკლესიის ნანგრევიდან ჩრდილოეთით 60 მ-ის დაშორებით, მიწის ზედაპირზე შემორჩენილია საფლავის ქვები, რომლებიც დაძრულია (დაცურებულია) თავდაპირველი ადგილიდან (ქვების მდებარეობის კოორდინატები: E 0469011, N 4652659) (ტაბ. III, სურ. 7, 8). №4 არქეოლოგიური ობიექტის სახით საქმე გვაქვს დანგრეული ეკლესიის ნაშთებთან, რომლის გარშემო გამართული ყოფილა სამარხები (ტაბ. XIII).

5. არქეოლოგიური ობიექტი №7 მდებარეობს მარშრუტის 42-ე კმ-ზე, სოფ. დგნალის სამხრეთ-დასავლეთით, ტრასის ცენტრალურ ღერძზე (კოორდინატები: E 0471098, N 4674017) (ტაბ. XIII). ესაა ცალკეულ ნაგებობათა ნაშთები, რომელთაგან ზოგიერთის გეგმაც იკითხება (ტაბ. V, სურ. 1-2). მათგან დაახლოებით 45-50 მ-ში, შესასწავლი ტრასის დასავლეთ კიდედან, ბორცვის თხემზე, რომელიც ხელოვნურად ჩანს მოჭრილი, ფიქსირდება ქვაყრილები – ნამოსახლართა ნაშთები (კოორდინატები: E 0471051, N 4674005) (ტაბ. V, სურ. 3-4; ტაბ. XIII). ერთმანეთის ახლოს მდებარე ეს ორივე კომპლექსი უნდა წარმოადგენდეს ერთი ნასოფლარის შემადგენელ ნაწილებს.

საკვლევ ტრასაზე დაფიქსირებული ცხრა მიწისზედა ობიექტიდან გვხვდება – XVIII-XIX სს-ის (ან თანამედროვე) სასაფლაო, სამლოცველო, ძველი ნაგზაური და თანამედროვე დასახლება.

1. საკვლევ ტერიტორიის 33-ე კმ-ზე სოფ. ბანცურთკარში, სოფლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ტრასის თითქმის ცენტრალურ ღერძზე (კოორდინატები: E 0471990, N 4665624) არის XIX-XX ს-ის დასაწყისის სასაფლაო – ობიექტი №5 (ტაბ. IV, სურ. 5; ტაბ. XIII).

2. ობიექტი №6 მდებარეობს ტრასის 34-ე კმ-ზე სოფ. ბანცურთკარის თავზე, ჩრდილოეთით, 500-ოდე მეტრის დაშორებით. ესაა სოფლის სასაფლაო (კოორდინატები: E 0461708, N 4666197) (ტაბ. IV, სურ. 6).

ამავე სასაფლაოს ტერიტორიაზე, რამდენადმე ზემოთ ძველი ეკლესიის ნანგრევებზე ახლად აგებული დარბაზული ტიპის ეკლესიაა (კოორდინატები: E 0471698, N 4666275) (ტაბ. IV, სურ. 7). სასაფლაო და ეკლესია მოქცეულია სამშენებლო ტრასის ზონაში (ტაბ. XIII).

3. ობიექტი №8 მდებარეობს ჭართლის ხევის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ჩიტაურების სამხრეთ-აღმოსავლეთით, ტრასის 47-ე კმ-ის ღერძულა ხაზზე (კოორდინატები: E 0471500, N 4679114). იქ დაფიქსირდა XVIII-XIX ს-ის სასაფლაო, რომელიც სონდელების (სოფელია) სასაფლაო ყოფილა (ტაბ. V, სურ. 6-7; ტაბ. XIII).

4. ობიექტი №9, რომელიც მოქცეულია საკვლევ ტრასის ზონაში, მდებარეობს ~~მარშრუტის 71-ე კმ-ზე, გუდამაყარში, ვეძის ხევის მარჯვენა ტერასაზე. ეს არის ცუცქუნაურების ნამოსახლარი (კოორდინატები: E 0478151; N 4698167). ნამოსახლარის აღმოსავლეთით ნასახლარის ნაშთებია. ჩანს ცალკეული ქვაბულის კონტურები (ტაბ. VI, სურ. 7; ტაბ. XIII).~~

5. იმავე 71-ე კმ-ზე, სოფ. ცუცქუნაურების აღმოსავლეთით, ფერდობზე არის XVIII-XX სს-ის სასაფლაო – ობიექტი №10 (კოორდინატები: E 0478118, N 4698244).

სასაფლაოზე გვხვდება XVIII-XIX საუკუნეებისათვის დამახასიათებელი გათლილი ორნამენტული ქვები (ტაბ. VI, სურ. 8; ტაბ. VII, სურ. 1-2).

6. ობიექტი №11 მდებარეობს აღნიშნულ სასაფლაოსთან. ესაა პატარა ნაგებობის ნაშთი – წვერის ანგელოზი, რომელსაც ეტყობა გვიანდელი მშენებლობის კვალი (კოორდინატები: E 0478089, N 4698262). ნაგებობა გეგმით ოთხკუთხაა (ტაბ. VII, სურ. 3). მის გვერდით (ჩრდილოეთით) ორ ბოძზე ჩამოკიდებულია გატეხილი ზარი, რომელზეც ამოკაწრულია ასომთავრული წარწერა. წარწერის ნაწილი სპილენძის ფირფიტითაა დაფარული (ტაბ. VII, სურ. 4; ტაბ. XIII).

7. ობიექტი №12 მდებარეობს მარშრუტის 85-ე კმ-ზე ბურსაჭირის უღელტეხილის ბოლო მონაკვეთზე, ქვენამთისწყლის მარცხენა ნაპირის შემადგებულ კლდეზე, საკვლევი ტრასის მარჯვენა კიდეზე (კოორდინატები: E 0476513, N 4710469). ამ ადგილას შემორჩენილია ჩრდილო-სამხრეთ მიმართულებით დამხრობილი კლდის ფლეთილი ქვებით მშრალად ნაგები კედლის წყობა (შემორჩენილი ხილული სიგრძე 1,7 მ, სისქე 60 სმ, სიმაღლე 80 სმ) (ტაბ. IX, სურ. 2; ტაბ. XIII). კედლის გაგრძელება კორდოვანი ფენითაა დაფარული. ობიექტი წარმოადგენს XIX ს-ის საუღელტეხილო გზის გასამაგრებელ კედელს.

8. ობიექტი №13 მდებარეობს საკვლევი ტრასის 89,8-ე კმ-ზე. ესაა ტრასის მარჯვენა კიდესთან მოქცეული სოფ. კარკუნის თანამედროვე სასაფლაოს ნაწილი – (კოორდინატები: E 0473934, N 4713809) (ტაბ. X, სურ. 1; ტაბ. XIII).

9. ობიექტი №14 (კოორდინატები: E 0473537, N 4714004) საკუთრივ სოფ. კარკუნის სამხრეთ ნაწილია, რომელიც მდებარეობს მარშრუტის 90,2-ე კმ-ზე (ტაბ. X, სურ. 2; ტაბ. XIII).

შეჯამება

ამრიგად, ჩატარებული არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად გამოვლინდა სამშენებლო ზონაში მოხვედრილი 14 ობიექტი. მათგან ხუთი არქეოლოგიური ობიექტია. ჩვენს მიერ GPS კოორდინატებით მონიშნულ ობიექტებზე მაღალი ძაბვის ანძების აღმართვა დაუშვებელია. ეს განსაკუთრებით ითქმის არქეოლოგიურ ობიექტებთან დაკავშირებით. ახდების მშენებლობის ადგილები გადატანილი უნდა იქნას ისეთ ადგილებში, სადაც ჩამოთვლილ ობიექტებს არ შეექმნებათ დანგრევის საფრთხე.

ეს საკითხი ადვილად მოგვარებადია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საკვლევი დერეფნის სიგანე 100 მეტრია და მშენებლებს აქვთ საშუალება მაღალი ძაბვის ანძების ადგილმდებარეობის კორექტირებისა.

მთავარი მეცნიერ თანამშრომელი

დ. მინდორაშვილი

შუა საუკუნეების არქეოლოგიის კოლექციების ასისტენტი

ვ. მამიაშვილი



მადალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი - ქსანი-სტეფანწმინდა

II



1. ქსნის ელექტროსადგური



2. თხოთის მთის ხაშრეთ-დასავლეთი კლდოვანი ფერდობები



3. თხოთის მთის თხემი




4. თხოთის მთის აღმოსავლეთი ფერდი და ძღისა-შკადიჯურის მდინარეები



5. არქეოლოგიური ობიექტი №1



6. თხის ჭურჭლის ნატეხები. არქეოლოგიური ობიექტი №1.



7. არქეოლოგიური ობიექტი №2



8. თხის ჭურჭლის ნატეხი. არქეოლოგიური ობიექტი №2.



1. სოფ. ძაღისას ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტერიტორია. ნამოსახლარი, არქეოლოგიური ობიექტი №3.




3. სოფ. ციხელავის მდამოები



5. საფლავის ქვა უკლესის ნანგრევთან



7. უკლესის ჩრდილოეთით მიკვლეული საფლავის ქვა



2. კრამიტისა და ჭურჭლის ნაწილები. არქეოლოგიური ობიექტი №3.



4. უკლესის ნანგრევი. არქეოლოგიური ობიექტი №4.



6. უკლესისთან მიკვლეული კრამიტისა და ჭურჭლის ნაწილები



8. უკლესის ჩრდილოეთით მიკვლეული საფლავის ქვა



1. სოფ. ბაზალეთისკენ მიმავალი ტრასა



2. თბილენი



3. სოფ. ბაზალეთთან მდებარე ხაჯარაკე ნაკვეთები. მარცხნივ გადის შეხასწაველი ტრასის ერთი მონაკვეთი



4. ქაისხევის ხეობა



5. XIX-XX სს-ის ხასფელის სოფ. ბანცურთკარის სამხრეთ-აღმოსავლეთით



6. სოფ. ბანცურთკარის თანამედროვე ხასფელი



7. სოფ. ბანცურთკარის ხასფელის ეკლესია



8. ტრასის მონაკვეთი ბანცურთკარი-დგნალის მიმართულებით



1. ნამოსახლარის ნაშთები ტრახის 42-ე კმ-ზე



2. ნამოსახლარის ნაშთები ტრახის 42-ე კმ-ზე




3. ნამოსახლარის ნაშთები ტრახის 42-ე კმ-ზე



4. ნამოსახლარის ნაშთები ტრახის 42-ე კმ-ზე



5. დგნალი-მენგხო-სინდისხევის მოპროუღება



6. XVIII-XIX სს-ის სახაფლაო



7. XVIII-XIX სს-ის სახაფლაო



8. ხანდოს ხევის მარცხენა ნაპირი. ტრახის მოპროუღება




1. დაბა ფასანაურის მდამოებნი



2. გულამაურის ხეობა დაბა ფასანაურთან



3. გულამაურის ხეობის ქვემო წელი



4. გულამაურის ხეობის ქვემო წელი



5. გულამაურის ხეობა



6. გულამაურის ხეობა



7. სოფ. ცუცქუნაურებთან მდებარე ნახახლარი



8. სოფ. ცუცქუნაურების სახაფლავი



1. სოფ. ცუცქუნაურების სასაფლაოს საფლავის ქვები



2. სოფ. ცუცქუნაურების სასაფლაოს საფლავის ქვები



3. წყურის ანგულოხი



4. წარწერაში ზარი წყურის ანგულოხიდან



5. ბურსაკირისწყლის ხეობა



6. ბურსაკირისწყლის ხეობა



7. ბურსაკირისწყლის ხეობის მხრეებზე ნაპირი



8. ნახოფლარ ბურსაკირის მდინარეები



1. ბურსაჰის უღელტეხილი



2. ბურსაჰის უღელტეხილი



3. ქვენამთისწელისკენ ჩამავალი ტრასის მომართულება (ბურსაჰის უღელტეხილი)



4. ქვენამთისწელის მარცხენა ნაპირის ტრასა (ბურსაჰის უღელტეხილი)



5. ქვენამთისწელის მარცხენა ნაპირის ტრასა (ბურსაჰის უღელტეხილი)



6. ქვენამთისწელის ხეობა (ბურსაჰის უღელტეხილი)



1. ქვენამთისწყლის ხეობის მარჯვენა ნაპირის ფერდი და რიქი (ბურსაჭიტის უღელტეხილის დასასრული)



2. გზის ხაზგარი კედლის ნაშთი ბურსაჭიტის უღელტეხილის დასასრულს




3. ქვენამთისწყლის მარჯვენა ნაპირის მთის ქედები



4. ქვენამთისწყლის ხეობის დასასრული



5. ქვენამთისა და ხნოსწყლის ხერთოები, ხნოსწყლის ხეობა.



6. ხნოსწყლის ხეობა



1. სოფ. კარკუმის სახაფლავი



2. სოფ. კარკუმა



3. მდ. ხნისწყლის ხეობა



4. სოფ. ახალციხისა და ქიხელის შიდაშოები



5. ტრახის მონაკვეთი სოფ. ახალციხიდან



6. მდ. ხნისწყლის რივი



1. ტერიტორია სოფ. ახალციხესა და სნის შორის



2. ტერიტორია სოფ. ახალციხესა და სნის შორის



3. სოფ. სნის მდებარეობა



4. სოფ. სნის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ტერიტორია



5. სოფ. სნის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ტერიტორია



6. რევე სოფ. სნისა და ახალციხის შორის



1. სოფ. ახსოცი



2. სოფ. ახსოცის მდამოებე



3. ტრასის მძაბრულება ნაძვართან ფერდზე



4. საკვლევი ტრასის დასასრული ნაძვართან ფერდზე



5. საკვლევი ტრასის ბილი წურტილი

ქსანი-სტეფანწმინდა

არქ. ობიექტი №1 მე-10 კმ-ზე E - 4643804; N-0468501

არქ. ობიექტი №2 მე-10 კმ-ზე E - 4643771; N-0468534

არქ. ობიექტი №3 მე-12 კმ-ზე E - 4645358; N-0469091/
E - 4645390; N-0469132/E - 4645545; N-0469043 /
E - 4645504; N-0469002

არქ. ობიექტი №4 მე-20 კმ-ზე E - 0469036; N-4652596 /
E - 0469011; N-4652659

ობიექტი №5 33-ე კმ-ზე E - 0471990; N-4665624

ობიექტი №6 34-ე კმ-ზე E - 0471708; N-4666197 /
E - 0471698; N-4666275

არქ. ობიექტი №7 42-ე კმ-ზე E - 0471098; N-4674017 /
E - 0471051; N-4674005

ობიექტი №8 47-ე კმ-ზე E - 0471500; N-4679114

ობიექტი №9 71-ე კმ-ზე E - 0478151; N-4698167

ობიექტი №10 71-ე კმ-ზე E - 0478118; N-4698244

ობიექტი №11 71-ე კმ-ზე E - 0478089; N-4698265

ობიექტი №12 85-ე კმ-ზე E - 0476513; N-4710469

ობიექტი №13 89,8-ე კმ-ზე E - 0473535; N-4714004

ობიექტი №14 90,2-ე კმ-ზე E - 0473537; N-4714004

